ᲰᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲘᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲣᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 44-Ე ᲬᲚᲘ | № 208 (12720) | ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 5 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 1963 Წ. | ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ.

ᲐᲡᲔᲗᲘᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲛᲔ

ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ. (ᲡᲐᲙ. ᲙᲝᲠ.). ᲒᲐᲓᲐᲥᲪᲘᲝᲗ ᲥᲐᲠᲮᲜᲐ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲣᲠᲬᲛᲝᲓ! ᲐᲛ ᲓᲦᲔᲕᲘᲗᲘᲗ ᲒᲐᲬᲘᲠᲚᲔᲑᲣᲚ ᲚᲐᲨᲥᲠᲝᲑᲐᲨᲘ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲛᲐ ᲛᲔᲪᲘᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲣᲚ. ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲕᲔ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲙᲕᲐᲠᲢᲐᲚᲘᲡ ᲛᲐᲬᲘᲜᲔᲑᲚᲘᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲦᲬᲘᲣᲚ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲐ ᲒᲐᲡᲐᲚᲐᲛᲐᲖᲘᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲪ ᲡᲐᲡᲣᲠᲕᲔᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ ᲐᲠ ᲐᲮᲓᲘᲡᲐ. ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲦᲔᲕᲘᲗᲘᲗ ᲒᲐᲬᲘᲠᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲚᲐᲨᲥᲠᲝᲑᲐᲨᲘ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲛᲐ ᲛᲔᲪᲘᲛᲔᲜᲢᲔᲑᲛᲐ ᲐᲘᲙᲘᲠᲔᲗ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ. ᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡ ᲪᲙᲐᲚᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲬᲠᲘᲤᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲐᲛᲐᲦᲚᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲐ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲙᲕᲐᲠᲢᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲗᲘᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲒᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲛᲐ ᲛᲔᲪᲘᲛᲔᲜᲢᲔᲑᲛᲐ ᲐᲘᲙᲘᲠᲔᲗ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ. ᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡ ᲪᲙᲐᲚᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲬᲠᲘᲤᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲐᲛᲐᲦᲚᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲐ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲙᲕᲐᲠᲢᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲗᲘᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲒᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲛᲐ ᲛᲔᲪᲘᲛᲔᲜᲢᲔᲑᲛᲐ ᲐᲘᲙᲘᲠᲔᲗ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ. ᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡ XXII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲗᲐ. ᲛᲔᲪᲘᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲐ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲙᲕᲐᲠᲢᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲗᲘᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲒᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲛᲐ ᲛᲔᲪᲘᲛᲔᲜᲢᲔᲑᲛᲐ ᲐᲘᲙᲘᲠᲔᲗ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ. ᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡ XXII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲒᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲛᲐ ᲛᲔᲪᲘᲛᲔᲜᲢᲔᲑᲛᲐ

დიდი მშენებლობა და შენელებული ჯემპი

რუსთავის სინთეზური ბოჭკოს ქარხნის მშენებლობის ხელმძღვანელებს რომ სთხოვთო, მოგცემენ ოფიციალურ ცნობას, რომელშიც აღნიშნულია, რომ 7 თვის გეგმა შესრულებულია 75 პროცენტით.

და ეს ხდება იმ განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტზე, სადაც უნდა შესრულდეს 134.000 კუბური მეტრი რკინაბეტონის კონსტრუქციების მონტაჟი, ჩაიწყოს ასობით კილომეტრი მილგაყვანილობა, დამონტაჟდეს 10.000 ტონა ტექნოლოგიური მოწყობილობა, დაყენებულ იქნას 2 მილიონ კუბმეტრზე მეტი მიწა. მხოლოდ იმპულსური ხაზის უზრუნველსაყოფად საჭიროა ჩაიწყონს 100 კილომეტრზე მეტი იმპულსური მილები, რომ არაფერი ვთქვათ უამრავ ძაღოვან და საკონტროლო კაბელებსა და გაყვანილობებზე, უამრავი რთული მექანიზმების ასამუშავებლად საჭიროა დამონტაჟებულ იქნას ასობით ელექტროძრავი. სირთულეზე წარმოდგენა რომ ვიქონიოთ, ისიც კმარა, რომ მარტო მთავარი კორპუსის ფართობი 120.000 კვადრატული მეტრი იქნება. ქარხანა გადაამუშავებს რუსთავის კაპროლაქტამის საწარმოსაგან მიღებულ ნედლეულს — კაპროლაქტამს აბრეშუმის სინთეზური ძაფის მისაღებად. ქარხნის მშენებლობა უნდა დამთავრდეს შეიდწლედის ბოლოს. ამ ქარხნის პროდუქცია — ეგრეთწოდებული კორდის ძაფი გამოყენებულ იქნება საბურავების დასამზადებლად, თევზსაჭერი ბადეების საქსოვად და ა. შ.

და განა მარტო ეს? რუსთავის მარკის ქიმიური პროდუქცია მთელ რიგ შემთხვევებში შეცვლის რკინას, ალუმინს, სპილენძს. ავტოქარხნებიდან გამოვლენ მანქანები, რომლებსაც საბურავებს გარდა რუსთავის მარკის პროდუქციისაგან დამზადებული ექნებათ მილისებრი კბილანები, კარბიურატორები, საიზოლაციო ნაწილები, ხრახნული დეტალები, ავტომატური ჩამრთველები, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლებიც ხალისით გამოიყენებენ ძვირფასი ლითონის ასეთ შემცვლელებს...

და აი ჩვენ ამ ქარხანა-გიგანტის მშენებლობაზე ვართ.

ამ ბოლო დროს მშენებლობის ტემპები ერთგვაროდ დაჩქარდა. „სპეცმშენის“ სამმართველომ (უფროსი დ. ცერცვაძე) სულ უნდა გადახიროს 110.000 კვადრატული მეტრი ფართობი. „ტრანსსპეცმშენის“ სამმართველო (უფროსი შ. ბერიშვილი) შეუდგა თავადვე კორპუსის იატაკის დაგებას. ამის პარალელურად მიმდინარეობს ტექნოლოგიურ და საინტენსიფიკაციო მოწყობილობათა მონტაჟი და მილგაყვანილობის ჩაწყობის სამუშაოები, რაც წელს უნდა დამთავრდეს. თუ ეს სამუშაოები წლის ბოლომდე არ დამთავრდა, მემონტაჟეებს საშუალება არ ექნებათ მთელ ფრონტზე აწარმოონ მონტაჟი, ხოლო ეს გარემოება სახლოლო ანგარიშით საფრთხის წინაშე დააყენებს მომავალ წელს კორდის მიღებას.

ქარხნის მშენებლობას აწარმოებს ძირითადად „სინთეზმშენის“ სამმართველო (უფროსი ი. გუმბერიძე). ამ ორგანიზაციამ უკვე დაამთავრა სამაცივრო მეურნეობის, საკომპრესორო სადგურის, ქიმიური და რეგენერაციის საამქროების მშენებლობა და ფრონტი დაუთმო მემონტაჟეებს. „სინთეზმშენის“ სამმართველოს გადაუდებელი ამოცანა ახლა ის არის, რომ მთლიანად დაამთავროს დარჩენილი სამუშაოები მთავარ კორპუსზე და უზრუნველყოს დარჩენილი 14.000 კუბმეტრი რკინაბეტონის კონსტრუქციების აწყობა. ამასთან მშენებლებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა გაამახვილონ აბრეშუმის ძაფის ნაწილში და სართავ საამქროს კორპუსში რკინაბეტონის კონსტრუქციების მონტაჟის დამთავრებაზე.

მიუხედავად ყოველივე ამისა, დიდი ქიმიის განსაკუთრებული მნიშვნელობის ამ ობიექტზე მაინც იგრძნობა ჩამორჩენა ქარხანასთან დამპროექტებელთა ჯგუფის შექმნა. საქმე ის არის, რომ პროექტებსა და ტექნიკურ დოკუმენტებში, რომლებიც მშენებლობაზე მოდის ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა საპროექტო ორგანიზაციიდან, ბევრი შეუსაბამობაა. მაშასადამე, საჭიროა დოკუმენტებში კორექტირების შეტანა ადგილობრივი პირობების შესაბამისად. სხვანაირად საქმე წინ ვერ წავა. აი მაგალითი:

სართავ საამქროში მშენებლებმა პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები დაამთავრეს და აქტით ჩააბარეს. რამდენიმე ხნის შემდეგ მოდის ახალი პროექტი, რომლითაც ამავე საამქროში გათვალისწინებულია მთავარი დამატებითი სამუშაო. ასეთი შემთხვევები იშვიათი როდია. ეს კი იწვევს ფინანსურ სირთულეს, შრომის ანაზღაურების კანონის დარღვევას, მშენებლობის შეფერხებას. დამპროექტებელთა ჯგუფის ადგილობრივ შექმნით ეს უხერხულობანი თავიდან იქნება აცილებული.

მშენებლობის შეფერხებას იწვევს აგრეთვე რკინაბეტონის ასაწყობი კონსტრუქციებითა და სამშენებლო დეტალებით მომარაგების მოუწესრიგებლობა. რკინაბეტონის ნაწარმის კომბინატმა აგისტორი მშენებლებს მიაწოდა სახურავი ფილები 38 პროცენტის რაოდენობით, შუა ჭერის კონსტრუქციები — 43 პროცენტი, სართულთშუა გადახურვის ფილები — 20 პროცენტი, სართულთშუა ნივნივები — 21 პროცენტი და ა. შ.

რუსთავში დიდი ქიმიის უმნიშვნელოვანესი ობიექტი შენდება, მაგრამ შენდება მეტად ნელა, ტაატით.

ზ. მერკვილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲕᲧᲐᲕᲓᲔᲡ ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ

ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲕᲘᲜ ᲛᲝᲡᲗᲮᲝᲕᲡ ᲒᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲡ?

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ რომ გასცდებით, ლარგვისში მიმავალი გზიდან მდინარე ქსნის მარჯვენა ნაპირზე გაშენებულ ვენახებს შეამჩნევთ. ეს ვენახები წირქოლის კოლმეურნეობას ეკუთვნის. ბევრის თქმა შეიძლება ამ კოლმეურნეობის შესახებ. ადრე სამხრეთ ოსეთში ბევრს გაიგონებდით წირქოლელი მევენახეების სასახელო საქმეებზე, აქებდნენ ვენახის მოსავალს, ღვინის მაღალ ხარისხს, კოლმეურნეთა დაუღალავი და ბეჯითი მარჯვენის ნაყოფს. სოფლის მკვიდრნი კმაყოფილი იყვნენ კოლმეურნეობის საქმიანობით, შრომადღის ღირებულებით, სოფლის კეთილმოწყობაზე ზრუნვით.

მაგრამ ეს ამბავი წარსულში იყო. წირქოლის კოლმეურნეობა ახლა სხვაგვარად, უფრო ფერმკრთალად გამოიყურება. სოფელში ნაკლებია ღვინის, პურის ბარაქა, იკლო კოლმეურნეთა სიბეჯითემაც.

ბუნებრივია, მკითხველი იტყვის, რატომაო.

ამის მიზეზი მრავალია, მაგრამ, ჩვენი აზრით, ერთი მათგანი მაინც ძირითადია.

ეს არის კოლმეურნეობის თავმჯდომარის საკითხი. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ხომ საკოლმეურნეო წარმოების ძირითადი ფიგურაა. მის პიროვნებაზე, ორგანიზატორულ ნიჭსა და უნარზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ეს რომ ასეა, ვნახოთ ამ კოლმეურნეობის მუშაობის მაგალითზე.

წირქოლის კოლმეურნეობა განსაკუთრებით ჩამორჩა უკანასკნელი სამი წლის მანძილზე, მას შემდეგ, რაც თავმჯდომარედ აირჩიეს ნიკო ბალაშვილი. წლები გავიდა, ხოლო წირქოლელთა მეურნეობა აღმავლობის ნაცვლად უკან-უკან მიდის.

ვნახოთ ვენახი წელს. შორიდან შეხედვით შპალერზე გადაყვანილი ვაზი ლამაზად გამოიყურება. იფიქრებ, ჩინური, გორული მწვანე, ალიგოტე აქ უხვად უნდა მოდიოდესო... მაგრამ ეს მხოლოდ შორიდან მოგეჩვენებათ. ვაზის რიგებს შუა ჩაიარეთ და შეხედულება შეგეცვლებათ. ყურძნის მტევნები სანახევროდ შემჭკნარია, მოუვლელობის კვალი ყველგან ემჩნევა. თავმჯდომარე ნ. ბალაშვილი ვენახის მოუსავლიანობას ცვალებად ამინდებს აბრალებს. მაგრამ ამა ვნახოთ სოფელ იყოთის კოლმეურნეობის ზვარი, რომელიც წირქოლელთა ვენახის გვერდით არის. აქ სულ სხვა მდგომარეობაა. ვენახები საუკეთესოდ გამოიყურება, მტევანი ჯანსაღია და, ცხადია, — უხვმოსავლიანიც იქნება. მაშ რაშია საქმე?

საქმე იმაშია, რომ ჩოთელებმა სანიმუშოდ მოუარეს ვენახს, მათ იციან ვაზის ყადრი, მისი ბარაქა და მნიშვნელობა. არც წამლობა დაუკლიათ, ნიადაგიც კარგად დაამუშავეს და შრომაც დაფასდა.

წირქოლელები ვერც მარცვლეულის მოსავლიანობას დაიკვეხნიან. მოსავლის აღება სამარცხვინოდ ჭიანურდება. შემდგომის ხორბალს საშუალოდ ჰექტარზე მხოლოდ 6-7 ცენტნერს იღებენ. ხორბალი უხარისხოა, კოლმეურნეობას თესლი არ ეკნება.

წირქოლის კოლმეურნეობის ეკონომიკაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი მეცხოველეობას უნდა ეკავოს, რადგან სოფელს საუკეთესო საძოვრები და სათიბები აქვს მთაში. მაგრამ კოლმეურნეობა ვერ ასრულებს მსხვილფეხა პირუტყვისა და ღორების სულადობის გეგმებს, ხშირია პირუტყვის მოუვლელობით გაწყდომის ფაქტები. საქმე არც წველადობაშია კარგად. 20 აგვისტოსათვის თვითეულ საფურაეე ძროხაზე მიღებული იყო 239 ლიტრი რძე — 43 ლიტრით ნაკლები, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში.

მეურნეობაში დაბალია შრომის დისციპლინა. აღრიცხვით სოფელში 550 შრომისუნარიანი კოლმეურნე ითვლება. აქედან 1-15 შრომადღემდე გამომუშავებული აქვს 140 კოლმეურნეს, 35 კაცს კი წელს არაფერი გაუკეთებია.

— რატომ არ მუშაობთ კოლმეურნეობაში? — შეეკითხეთ შუა ხანს მიტანებულ კოლმეურნეს.

— მუშაობა კი არა, ჩვენი თავმჯდომარის შემხედვარე ან როგორ ვაკეთებთ, რასაც ვაკეთებთ.

— როგორ?

— როგორ და ისე, რომ ჩვენს ნაამაგარს, ჩვენს ბარაქას ანაავებს მარცხნივ და მარჯვნივ, თვითონაც ჭამის მადა ცუდი არა აქვს. აბა რა უნდა გაკეთდეს სოფელში! — ნაღვლიანად ლაპარაკობდა კოლმეურნე.

კოლმეურნის გულნატკენი ლაპარაკი საფუძველს მოკლებული როდია. რა სახის დანაშაულს არ შეხვდებით წირქოლის კოლმეურნეობაში. გაფლანგვა, გაწიავება, უდარდელობა და უპასუხისმგებლობა, თვალსაზეოვა და სიცრუე...

კოლმეურნეებმა მიხეილ გაბრიელაშვილმა, დავით ოდიშვილმა და ილო გიოთაროვმა` მოინდომეს უკეთესი ძროხები ჰყოლოდათ პირად სარგებლობაში. ისინი დაუკავშირდნენ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ნ. ბალაშვილს. გულუხვმა თავმჯდომარემ არ დააყოვნა. მან კოლმეურნეობის ფერმიდან სამივეს უბოძა მოსაგები დეკეულები, ხოლო სანაცვლოდ ფერმაში შეიყვანა მათ მიერ მოყვანილი ყამხდარი სამი-ოთხიოდე თვის ხბოები.

— არაფერს ვზარალობთ, სულადობა არ იცვლება, — დაეინებით გაიძახის და თავს იმართლებს თავმჯდომარე.

კოლმეურნეობას ხბოები შერჩა, მ. გაბრიელაშვილის, დ. ოდიშვილისა და ი. ბითაროვის მიერ კოლმეურნეობიდან წაყვანილი დეკეულები კი დაბბოიანდნენ და რძეს იძლევიან. აი კოლმეურნეობის თავმჯდომარის უმსგავსო მოქმედების ერთი ნაკეთი.

კოლმეურნე ვ. ჯარიშვილაშვილმა საკარმიდამო ნაკვეთის გაცვლა მოინდომა. თავმჯდომარეც მალე დაითანხმა. საზოგადოებრივ ფონდში შეიტანა 768 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი და სამი ვიერზდ უკეთესი ბალიანი. თითქოს აქ ალაგიერიაო, მაგრამ ანგარიშიანად წავიდა ვ. ჯარიშვილაშვილის მიერ კოლმეურნეობისათვის დაბარებული ნაკვეთი? თუნდაც ნუ იტყვით, ამ ნაკვეთს თითქოს კოლმეურნეობის თავმჯდომარე დაეპატრონა, ეკარგებოდა ბარაქა, ამბობს თავმჯდომარე ერსეტ ... ... ეს ნაკვეთი, არც სასოფლო საბჭოში იციან ... ...

ᲛᲐᲚᲐᲚᲘ ᲛᲝᲠᲬᲘᲚᲘ

6. ბალაშვილმა ყინულარიდან ჩამოიყვანა ორი ძროხა, ერთი ხბო და 26 სული ცხვარი. მათ პირად მეურნეობაში ინახავს. კვებავს საკოლმეურნეო საძოვრებზე. მაგრამ ნუ გგონიათ, რომ საფიქრალი ეს პირუტყვი აღრიცხვაზე. მაშინ ხომ თავმჯდომარეს გადასახადი დასჭირდება. ეს კი მას არ უნდა და ხმასაც არ ვინ სცემს.

თავმჯდომარეს ერთი ტანაყრილი, ჩასუქებული ძროხა ჰყავს. რა თქმა უნდა, ძროხამ მოიკეთა კოლმეურნეობის საკვებით. ეს ძროხა კოლმეურნეობის ფერმაში ბბია. გამოყოფილია მწველავი მარო ტაბუნაშვილი, რომელიც უკლის დაწველის ძროხას. კოლმეურნე ლალი ნაბატნაშვილის მოკლეობას კი ის შეადგენს, რომ ამ ძროხის 4-5 ლიტრი რძე ყოველდღიურად ხახლში მიართვას თავმჯდომარეს, ხოლო თუ რძე არ მოხერხდა, მაშინ ერბო ან ყარაჟი. რა თქმა უნდა, ეს უკეთესია.

6. ბალაშვილი კოლმეურნეობის ფულსაც ხელყოფს. მან კოლმეურნეობის საერთო კრების გადაწყვეტილების გამოუტანლად გამგეობის მეშვეობით დანიშნა ყოველთვიური ჯამაგირი 120 მანეთი. უკვე სამი წელი გავიდა, მაგრამ თავმჯდომარე კვლავ განაგრძობს ჯამაგირის ძიღებას.

— აბა როგორ, უჯამაგიროდ თქვენ მუშაობთ? — აცხადებს თავმჯდომარე.

6. ბალაშვილი თვალისახვევაშიც მარჯვეა. ჯერ კიდევ ამ გაზაფხულზე, როცა კოლმეურნეობამ საგაზაფხულო თესვის დავალება ვერ შეასრულა, თავმჯდომარემ თვალისახვევის მიზნით 4 ჰექტარით გაადიდა ქერის ნათესი, კარტოფილისა — 1,5 ჰექტარით, საკვები ჭარხლისა — 3,5 ჰექტარით. 1962 წლის შემოდგომაზე წირქოლის კოლმეურნეობაში მოუვლელობით გაწყდა 58 სული ცხვარი, მაგრამ გეგმის შესრულების მიზნით 1963 წლის იანვარში ცხვრების გაწყდომა არ უჩვენებიათ. სამაგიეროდ ყველაფერმა „მშვიდობიანად“ რომ ჩაიარა, ეს ცხვრები ჩამოწერეს.

კოლმეურნეობაში განიავდა კომბინირებული საკვები, არ შესრულებულა თივის დამზადების დავალება ჩრდილოეთ კავკასიის საზამთრო საძოვრებზე. ამ და მრავალ სხვა ნაკლოვანებას შეხვდებით ლენინგორის კოლმეურნეობების საწარმოო სამმართველოს სოფელ წირქოლის კოლმეურნეობაში.

ნუთუ საწარმოო სამმართველოში და პარტიულ კომიტეტში არ იციან ამ კოლმეურნეობის ავკარგი? ან რას აკეთებენ საწარმოო სამმართველოს ინსპექტორი შ. დურგლიშვილი და პარტიული კომიტეტის ინსპექტორ-პარტორგანიზატორი მ. გიგაური? მათ რატომ დაივიწყეს თავიანთი პირდაპირი მოვალეობა?

საწარმოო სამმართველოს ხელმძღვანელებს გულახდილად უნდა ვუთხრათ, რომ ეს ყოველივე „იციან“, ნამდვილად კარგად იციან და რატომღაც თვალს ხუჭავენ.

ი. თედიაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲛᲐᲚᲐᲚᲘ ᲯᲘᲚᲓᲝ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). სალოკომოტივო დეპოს კოლექტივს მეორე კვარტალში საუკეთესო მუშაობისათვის სმიერკაკაესიის რკინიგზის ხელმძღვანელობისა და პროფკავშირის საგზაო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ადგილი მეკუთვნენ.

მაღალი ჯილდოთი აღფრთოვანებული რკინიგზელები კიდევ უკეთ ეკიდებიან მესამე კვარტალში. ივლისის შედეგებით დეპო კვლავ პირველ ადგილზე გამოვიდა. მაღალი ტემპი აიღეს აგვისტოშიც და რვა თვის დავალება ვადამდე გაანაღდეს.

დეპოს მძიმეწონასანმა შეანარეკეებმა აგვისტოს ორ დეკადაში 67 მძიმე წონის შემადგენლობა გადაიყვანეს და გეგმის ზევით გადაზიდეს 10 ათასამდე ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი. კომუნისტური შრომის სალოკომოტივო ბრიგადის ხელმძღვანელმა გ. ქასრაშვილმა აგვისტოს ოცდასამ დღეში 13 მძიმეწონიანი მატარებელი გადაიყვანა და 2.400 ტონა ზეგეგმითი ტვირთი გადაზიდა.

დეპოს კოლექტივმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი ზესტაფონელ მეტალურგთა თაოსნობას და იკისრა ახალი შრომითი საჩუქრებით შეხვდეს საქართველოს კპ XXII ყრილობას. დეპოელების ვალდებულება ტვირთზიდვის წლიური გეგმა 24 დეკემბრისათვის შეასრულონ, გეგმის ზევით გადაზიდონ 100 ათასი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი, საშუალო სადღეღამისო გარბენის ნორმა გაადიდონ 5 კილომეტრით, ხოლო ლოკომოტივების ტექნიკური სიჩქარე — 0,3 კილომეტრით.

ᲐᲠᲝᲛᲐᲢᲣᲚᲘ ᲗᲐᲛᲑᲐᲥᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲩᲕᲔᲜᲘ რესპუბლიკის მეთამბაქოეები წელს ბეჯითად მუშაობენ. პირველი სექტემბრისათვის აღებულია 38.880 ათასი ზონარმეტრი თამბაქოს ფოთოლი. წარმატებით მუშაობენ აფხაზეთის მეთამბაქოეები. აქ შეტეხილი და ანემსილია 29.010 ზონარმეტრი ფოთოლი. სულ სეზონში 79.000 ზონარმეტრი თამბაქოს მოღებისათვის იბრძვიან.

მეტი არომატული თამბაქოსათვის შრომობენ აჭარის მეთამბაქოეები. აქ წელს სახელმწიფოს 2 ათას 200 ტონა თამბაქოს მიჰყიდიან. მიმდინარეობს მოსავლის მასობრივი აღება. უკვე შეტეხეს და ანემსეს 5.558 ათასი ზონარმეტრი თამბაქოს ფოთოლი.

მოსავლის აღებასთან ერთად შეუფერხებლად ხდება სახელმწიფოსათვის თამბაქოს ნედლეულის მიყიდვა. ბათუმის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხანაში უკვე მიღებულია ახალი მოსავლის თამბაქოს პირველი პარტია.

საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის მოწვევის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად ასევე კარგად მუშაობენ ყვარლისა და ბოლნისის რაიონის მეთამბაქოეები.

ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲖᲔ

ᲧᲕᲔᲡᲐᲪ ᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲐ

ᲜᲐᲫᲕᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲚᲐᲤᲐᲜᲭᲐᲛᲘᲐᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს მრავალგვარ ტყეებს შორის თავისი უდიდესი საკურორტო, ნაადგილა და წყალდაცვითი მნიშვნელობით გამოირჩევა ბორჯომის ხეობის ტყე, რომელშიც ფართო ადგილი უჭირავს ჩრდილოსა და ტენიანმოყვარულ ალმასა-ვლურ ნაძვს. ამიტომ, როდესაც 1956 წელს ამ ხემცენარის მავნებელი — ნაძვის დიდი ლაფანჭამია იპოვნეს, ეშმაკეთ ეს ინსექტი დაწყებული ზრუნვა მავნებლის მოსპობისათვის — ნაძვის უნიკალური ტყის დაცვისათვის. ეს საშიში მავნებელი გამოავლდა და ბორჯომის ხეობის ნაძვის ტყეები საფრთხის წინაშე დგებოდა.

ლაფანჭამიას ასე. ინტენსიურად გამრავლებას ბორჯომის ხეობაში ხელი ადგილობრივმა პირობებმაც შეუწყო.

ამ მავნებლის განვითარების მთელი ციკლი ძირითადი არეალის პირობებშ; (ჩრდილოეთში) ორი წლის განმავლობაში მთავრდება, ბორჯომის ხეობაში კი უფრო შემჭიდროებულ ვადებში მიმდინარეობს: ერთი თაობის განვითარებას ერთ წელიწადზე მეტი არა სჭირდება.

ახალმოსული მავნებელს ადგილზე არ დაუხვდნენ ის ბუნებრივი მტრები, რომლებიც ანადგურებენ მავნებელს ჩრდილოეთის ტყეებში. მწერიჭამია ფრინველებიც კი (მაგალითად, კოდალები და სხვ.). რომლებიც წინათ შედარებით მრავალი იყო ბორჯომის ხეობის ტყეებში, ახლა მინიმუმამდეა შემცირებული, რაშიც ერთგვარი უარყოფითი როლი შეასრულა იქ მომრავლებულმა ტელეუტურმა ციყვმა. ამ გარემოებას იმიტომ გაეუსვეთ ხაზი, რომ ნაძვის დიდი ლაფანჭამია სიცოცხლის დიდ ნაწილს კანქვეშ ატარებს და შედარებით ნაკლებად მისაწვდომია არასპეციალიზებული ბუნებრივი მტრებისათვის. ამგვარად, ბუნებრივ კოსტროლს გარეშე დარჩენილ მავნებელი მავნებლობის კარგი საშუალება მიეცა.

„ბუთაველებელმა ჭრებმა, ტყის გადაკარბებულმა გამეხეხერებამ, მით უმეტეს ძაღნებლის გამოჩენის შემდეგ გარაღებულმა მასობრივმა ჭრებმა კიდევ უფრო დაესუსტა ტყე. ერთბაშად დაარღვია ტყის ოდითვე აწყობილი მთლიანობა. მავნებლით მოდებული ნაძვის ხეების მასობრივი მოჭრა გამართლებული იქნებოდა მხოლოდ პირველ კერაში, როდესაც მავნებელი ნაპოვნი იქნა მხოლოდ რამდენიმე ხეზე, როდესაც ჯერ კიდევ არ ჩანდა მავნებლის შესაძლებელი აგრესიულობა. შემდეგ, როდესაც მავნებელა უკვე დიდ ფართობზე მოედო, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ სუსტად დაზიანებული ნაძვების მასობრივმა გაჩეხვამ მხოლოდ ზიანი მოიტანა, გააძლიერა ისედაც გაფანტულები მავნებლის მავნეობა, რადგან ერთბაშად დაირღვა ტყის განათების ოპტიმური გარემო, ტყის ნიადაგების ოპტიმური ტენიანობა, თვით ნაძვის ხეების ოპტიმური ფიზიოლოგიური მდგომარეობა და სხვ.

მავნებლით დაზიანებული ნაძვის ხეების ქიმიური შხამმასალებით მასობრივმა შესხურებამ უარყოფითი როლი შეასრულა. მართალია, ეს შხამმასალა მაღალეფექტური გამოდგა მავნებლის დაზოგვის საქმეში, მაგრამ თვით იწვევს ნაძვის ხემცენარეების დაწვას სხვადასხვა მასშტაბით და, თუ მცენარე დაწვეთ მალე არ დაიღუბა, დროებით ზეზე დარჩენილი ხეების ფიზიოლოგიური მდგომარეობა ხანგრძლივი დროის მანძილზე მაინც ირღვევა, ხეები სუსტდებიან.

შხამმასალით დამუშავებულ, ღონემიხდილ ნაძვის ხეებს ადვილად ერევიან ამ ტყეშივე გავრცელებული სხვა ანალოგიური მავნებლები (ექვსკბილა ქერქიჭამია, მეეზდავი ქერქიჭამია, ნაძვის პატარა ლაფანჭამია, ნაძვის კრიფალი, კაუჭბილა ქერქიჭამია და სხვ.) და ბორჯომის ტყეები კვლავ საფრთხის წინაშე რჩება. ესეც არ იყოს, ტყეში შხამმასალების ფართოდ გამოყენება ტყის ბუნებრივი მთლიანობის დარღვევას მაინც გამოიწვევს, რადგან შხამმასალით მოისპობა არა მარტო ნაძვის დიდი ლაფანჭამია, ჯრამდე ის მრავალი „შეუმჩნეველი“ სასარგებლო ენტომოფაგები, რომლებიც ბეჯითად მუშაობენ და დღითიდღე აფერხებენ მრავალი მავნებლის გამრავლების ტემპს, აქვეითებენ ამ მავნებელთა რიცხობრიობას.

საერთოდ, მავნე მწერების წინააღმდეგ ქიმიური ბრძოლის ფართოდ გამოყენება ბრძოლის ეკიდურესი საშუალებაა: მართალია, თანამედროვე შხამმასალები ბევრ შემთხვევაში კარგად სპობენ მავნებლებს, მაგრამ ეს წარმატება დროებითია და ცალმხრივი. ასეთი ღონისძიებანი სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე, ადამიანის მიერ განუწყვეტელი კონტროლის პირობებში, კიდევ შეიძლება ფართოდ დაინერგოს, მაგრამ ტყეში, სადაც ადამიანის კონტროლის გარეშე მოქმედი ბიოცენოტიური ურთიერთობის მძაფრი კანონებია ძალაში, შხამმასალების ხელოვნებით გამოყენება უთუოდ ყოველთვის არ იქნება სასურველი.

საკმარისია მცირედად დაირღვეს მავნებლისა და მისი ბუნებრივი მტრების სინქრონული ურთიერთობა, მავნებელი გამოდის ბუნებრივი კონტროლის სფეროდან, იგი თავისი პოტენციის მაქსიმუმით ვითარდება, დიდი რიცხობრიობით მავნეობს. ამასთან მომავალში განუხრელად უნდა იქნას გათვალისწინებული ის ჭეშმარიტება, რომ მავნებლის მოსპობითი ღონისძიებების გამომუშავებისას პირველ რიგში მთელი სისრულით უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში თვით დასაცავი მცენარის ბიოლოგიური თავისებურებანი, გარემოსთან ერთიანობის სპეციფიკური მოთხოვნილებანი, შემდეგ კი მოსასპობი მწერის ამ მცენარესთან ერთიანობის ის სუსტი ადგილები, რაც უზრუნველყოფს ბრძოლის წარმატებას.

შექმნილ ვითარებაში ნაძვის დიდ ლაფანჭამიასთან ბრძოლის მყარი შედეგის მიღებისათვის უნდა ვეცადოთ, რათა ბორჯომის ხეობის ტყეებში კვლავ აღდგეს ამ ტყისათვის ოპტიმური სიტუაცია, რისთვისაც კატეგორიულად უნდა აღიკვეთოს ყოველგვარი მასობრივი ჭრები; მხოლოდ აუცილებლობის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გამოიყენოთ ის შხამმასალები (მაგალითად, ემულსიები), რომლებიც არ იწვევენ ნაძვის ხის დაზიანებას (უმჯობესი იქნება მავნებლის ცალკეული ხვრელების ლოკალური დამუშავება, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ ბორჯომის ხეობის მკაცრ ოროგრაფიას); საჭიროა სატყეო-სამეურნეო ღონისძიებათა განუხრელად გატარება და, პირველ რიგში ძლიერ დასუსტებულ იმ მხმობადი ხეების დამუშავება, რომლებზეც ახლა მეორადი მავნებლებია შესეული; საჭიროა მწერიჭამია ფრინველების მასობრივი მიზიდვა, მოშრავლება და დაცვა; აუცილებელია სასარგებლო ენტომოფაგების მოგნება, მოყვანა და ნატურალიზაცია.

ამ მხრივ პირველი ნაბიჯი გადადგმულია. ჩეხოსლოვაკიის ნაძვის ტყეებში მობინადარე ნაძვის დიდი ლაფანჭამიის შედარებით მცირე რიცხობრიობის მიზეზების ახსნისას, გავიგეთ, რომ იქ ამ მავნებლის რიცხობრიობის დაკნინების საქმეში დიდ სასარგებლო როლს ასრულებს ენტომოფაგი ხოკო — „რიზოფაგუს გრანდის“. გათვალისწინებულია მოკლე ხანში ამ ენტომოფაგის შემოყვანა და გაშენება ბორჯომის ხეობის ნაძვის ტყეებში. სასარგებლო ენტომოფაგებით ჩვენი ტყეების გამდიდრებისათვის ზრუნვა კვლავაც უნდა გაგრძელდეს.

ბორჯომის ხეობის ნაძვნარი ტყის ბუნებრივი მთლიანობის მხოლოდ აღდგენით და შენარჩუნებით (და არა დარღვევით) სასარგებლო ენტომოფაგების გაძლიერებით და ქიმიურ ღონისძიებათა გონივრული გამოყენებით შესაძლებელი იქნება ნაძვის დიდი ლაფანჭამიას აგრესიული ნირის შეკავება, შემდგომში ასეთი რიცხობრიობით მისი მომრავლების აღკვეთა.

დ. კობახიძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი.

ᲛᲐᲡᲗᲐᲜᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲖᲔ

ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲐᲡᲗᲐᲜ ᲛᲭᲘᲓᲠᲝ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ

ᲡᲙᲙᲐ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა დიდი ამოცანები დაუსახა პარტიულ ორგანიზაციებს იდეოლოგიური მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების დარგში. მთავარია იდეოლოგიური მუშაობის კავშირი ცხოვრებასთან, კომუნისტური შშენებლობის პრაქტიკასთან.

ᲙᲙᲙᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲜᲘ ᲛᲝᲛᲖᲔᲓᲔᲑᲨᲘ — ასეთი რუბრიკა დამკვიდრდა ფოთის საქალაქო გაზეთის **„ახალი კოლხიდის“** ფურცლებზე. ამ რუბრიკით გაზეთი თავის მკითხველებს სისტემატურად მოუთხრობს ქალაქის პარტიული ორგანიზაციების ბრძოლაზე იდეოლოგიური მუშაობის აღმავლობისათვის, კომუნიზმის მშენებელი ადამიანის ფორმირებისათვის, სამეურნეო წარმატებათა მოპოვებისათვის.

— ბენინის პლენუმის შემდეგ, — წერს გაზეთში ფოთის ნავსადგურის მე-2 საწარმოო რაიონის პარტბიუროს მდივანი **დ. კანკია**, — ახალი გაქანება მიეცა სააგიტაციო საქმიანობას. აგიტატორები მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებიან თავიანთი მოვალეობის შესრულებას. უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვნად შემცირდა გეგმებისა და ვაგონების მოცდენა, ტვირთბოქლომი ჩქარსისული მეთოდებით წარიმართა, აგიტატორები თავიანთ საუბრებში ფართო ადგილს უთმობენ მოწინავეთა გამოცდილების გაზიარებას, კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელების გამოცდილება გადაქცეულა სხვებთან, რითაც ხელს უწყობენ მოწინავეთა რიგების ზრდას.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲡᲘᲒᲜᲐᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ“

„ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲝᲔᲚᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲮᲐᲠᲘᲡᲮᲝᲕᲐᲜ ᲐᲕᲔᲯᲡ“

ᲐᲛ სათაურით „კომუნისტის“ 18 ივლისის ნომერში დაიბეჭდა კრიტიკული წერილი, რომელშიც მხილებული იყო საავეჯო სწარმოების მიერ უხარისხო ავეჯის გამოშვების ფაქტები. კერძოდ, გაკრიტიკებული იყო თბ

საერთაშორისო
ლიტერატურული
ცხოვრება

ვ. ტერეშკოვა და ვ. ბიკოვსკი ეწვევიან ბულგარეთს

სოფია, 3 სექტემბერი. (საკდესი). ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს მიწვევით მსოფლიოს პირველი კოსმონავტი ქალი საბჭოთა კავშირის გმირი ვალენტინა ტერეშკოვა და საბჭოთა კავშირის გმირი პოდპოლკოვნიკი ვალერი ბიკოვსკი ეწვევიან ბულგარეთს და მონაწილეობას მიიღებენ ბულგარელი ხალხის ეროვნული დღესასწაულის — 9 სექტემბრის გამო გამართულ ზეიმში. ამას იუწყება ბულგარეთის დელეგაციათა საკავენტო.

მშვიდობისა და მეგობრობის ვიზიტი

ბელგრადი, 4 სექტემბერი. (საკდესი). ბელგრადის ცენტრალური გაზეთები პირველ გვერდზე აქვეყნებენ სამშობლოში ნ. ს. ხრუშჩოვის გაცილების დაწვრილებით ანგარიშსა და სიტყვებს, რომლებიც ი. ბროზ ტიტომ და ნ. ს. ხრუშჩოვმა წარმოთქვეს სურჩინის აეროდრომზე. „ბორბა“ ანგარიშს ბეჭდავს სათაურით: „ტიტო: დავრწმუნდით, რომ არის ჩვენი შემდგომი ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის მთელი რიგი ახალი შესაძლებლობანი; ხრუშჩოვი: ჩვენი ვიზიტი ხელს შეუწყობს ურთიერთმეგობრობის განმტკიცებას, მშვიდობისა და სოციალიზმის საქმეს და მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირებას“.

ახალგაზრდათა გაზეთი „მლადოსტი“ წერს, რომ ი. ბროზ ტიტოსა და ნ. ს. ხრუშჩოვის ყოველი გამოსვლა იუგოსლავიაში საბჭოთა მთავრობის მეთაურის ყოფნის დროს გამსჭვალული იყო დიდი და გულწრფელი სურვილით უზრუნველყონ და დაიცვან მშვიდობა ყველა ხალხისათვის, უზრუნველყონ განვითარების მშვიდობიანი და ბედნიერი პერსპექტივები.

საბჭოთა მთავრობის მეთაურმა თავისი უშუალობითა და გულითადობით ყველა იმათი სიმპათიები მოიხვეჭა, ვინც მას შეხვდა, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი.

პრაღა, 4 სექტემბერი. (საკდესი). „ვიზიტმა იუგოსლავიაში ხელი შეუწყო მშვიდობის საქმესა და კომუნისტური მოძრაობის ერთობის განმტკიცებას“, „სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ურთიერთობა ემყარება მტკიცე საფუძველს“, „მოგზაურობის შედეგია მეგობრული ურთიერთობისა და ერთობის განმტკიცება“ — ასეთი სათაურებით აქვეყნებენ დღეს პრაღის გაზეთები თვალსაჩინო ადგილას ცნობებს, რომ დამთავრდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის მოგზაურობა იუგოსლავიაში.

ეს იყო შესანიშნავი და სასარგებლო ვიზიტი — ასეთია ლეიტმოტივი ჩეხოსლოვაკიის გაზეთების დღეგანდელი ცნობებისა ნ. ს. ხრუშჩოვის მოგზაურობის შესახებ სოციალისტურ იუგოსლავიაში.

ლონდონი, 4 სექტემბერი. (საკდესი). ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტმა იუგოსლავიაში ინგლისის პრესის დიდი ყურადღება მიიპყრო. ინგლისის გაზეთები აშუქებენ ამ ვიზიტის დამთავრებას და გამოთქვამენ ვარაუდს, რომ ამ მოგზაურობის ერთ-ერთი შედეგი იქნება უფრო მჭიდრო ეკონომიური ურთიერთობის დამყარება სსრ კავშირსა და იუგოსლავიას შორის.

„საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მოლაპარაკებას, — წერს „ფაინენშლ ტაიმსი“, — უეჭველად მომყვება საქონელგაცვლისა და სამრეწველო თანამშრომლობის შემდგომი გაფართოება, ორმხრივ საფუძველზე“.

რატომ ეფერებიან საბერძნეთს

ათენი, 3 სექტემბერი. (საკდესი). დასავლეთ ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლისტური კაპიტალი უდიდესი მოგების გაძლიერებით იკიდებს ფეხს საბერძნეთის ეკონომიკაში.

ამჟამად საბერძნეთის ოფიციალური პირები ათენში აწარმოებენ მოლაპარაკებას „საერთო ბაზრის“ წარმომადგენელ მარკოლენთან.

როგორც გაზეთები იუწყებიან, ამ მოლაპარაკების მიზანია კიდევ უფრო მჭიდროდ დაუკავშირონ საბერძნეთი „საერთო ბაზარს“. გაზეთი „ვიმა“ წერს, რომ მოლაპარაკების ერთ-ერთი თემაა „საერთო ბაზრის“ მონაწილე ქვეყნების მონოპოლიათა კაპიტალური დაბანდების გადიდება საბერძნეთში.

„საერთო ბაზრის“ მონოპოლიების, და უწინარეს ყოვლისა დასავლეთ გერმანიის მონოპოლიების, აქტივიზაცია საბერძნეთში ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლიათა აშკარა შეშფოთებას იწვევს. აქ ყურადღებას აქცევენ იმას, რომ უმალვე „საერთო ბაზრის“ წარმომადგენლის შემდეგ, გუშინ ათენში ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის მინისტრი ჰოჯესი.

ჰოჯესმა განუცხადა პრესის წარმომადგენლებს, ჩემი ვიზიტის მიზანია საბერძნეთ-ამერიკის ეკონომიური ურთიერთობის განმტკიცებაო.

ბევრი საერთაშორისო მიმომხილველი და კარიკატურისტი დასცინის ბონის საგარეო პოლიტიკას, რომელიც არათანმიმდევრულობით ხასიათდება. დასავლეთ გერმანიის გაზეთი „ველტ დერ არბაიტი“ აქვეყნებს ნახატს, რომელზეც გამოსახულია ექვსი პოლიტიკური მოღვაწე. ისინი სხვადასხვა მხრისაკენ მიუთითებენ.

— მაშ, იარეთ ამ მიმართულებით... პირდაპირ, პირდაპირ...

ვაშინგტონის ლაშქრობის შემდეგ

ვაშინგტონი, 4 სექტემბერი. საკდესის კორესპონდენტი ნ. სალათელიანი იტყობინებენ:

ამერიკელმა რასისტებმა ზანგების ლაშქრობას ვაშინგტონში ახალი მხეცობითა და უკანონობის აქტებით უპასუხეს. 2 სექტემბერს პოლიციამ ქალაქ პლაკმინში (ლუზიანის შტატი) გაფანტა მშვიდობიანი მასობრივი დემონსტრაცია ზანგებისა, რომლებიც მოითხოვდნენ სამოქალაქო უფლებებს. ამავე დღეს ალაბამის შტატის გუბერნატორმა, პირწავარდნილმა რასისტმა უოლესმა პოლიციის სპეციალური რაზმები გაგზავნა ქალაქ ტაკსიჯში, რათა ზანგი ბავშვები ადგილობრივ სკოლაში არ დაესხათ მერხებზე თეთრკანიან ბავშვებთან ერთად. არსებული კანონის მიუხედავად ფოლესმა ქალაქის ხელისუფლებს უბრძანა არ გახსნან სკოლები ტაკსიჯში.

სასტიკად გაუსწორდნენ დემონსტრანტებს ამერიკის შეერთებული შტატების სხვა ქალაქებშიც. თავისუფლებისათვის უამრავი მებრძოლი აღმოჩნდა სანატორში. ფილადელფიის უნივერსიტეტის სტუდენტმა ჯოის ბარტმა, რომელიც ამას წინათ გათავისუფლეს ჯორჯის შტატის ქალაქ ოლბანის სასტრმროდან, ჟურნალისტებს უთხრა, „თუ რა ხდება ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთ ნაწილში, ეს ... ...

ფარდის ახდის წინ

რეპერტუარი თეატრის შემოქმედებითი და ეკონომიური ცხოვრების საფუძველია. ამიტომ არის იგი ყოველი თეატრის უპირველესი საზრუნავი.

რით ხვდება ახალ სეზონს რუსთაველის სახელობის თეატრი, რით გაახარებს ჩვენს მაყურებელს, რა შემოქმედებითი გეგმით იწყებს თავის 41-ე სეზონს?!

ახალი სეზონი დღეს, 5 სექტემბერს წყება.

პირველი სპექტაკლი გ. ნახუცრიშვილის „ფიროსმანი“ იქნება. ორი დღის შემდეგ თეატრი წარმოდგენას გამართავს „მცირე სცენაზეც“. აქ მაყურებელი გასული სეზონის უკანასკნელ პრემიერას „ჭინჭრაქას“ იხილავს. ამავე გარდა თეატრი თავის მოქმედ რეპერტუარში ტოვებს გასული წლების საუკეთესო სპექტაკლებს. ახლა ამოცანა ის არის, რომ მაყურებელმა არ იგრძნოს ამ სპექტაკლების სიძველე და „მოღლილობა“. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ შეუძლებელია თეატრმა მხოლოდ ერთი წლის (რაოდენ დიდი წარმატებაც უნდა მოიპოვოს) მონაგარით შექმნას მრავალფეროვანი და მდიდარი რეპერტუარი.

ისევე როგორც ჭეშმარიტად ახალი და ნოვატორული არ იქმნება ტრადიციის ცოცხალი და საინტერესო მხარეებისაგან მოწყვეტით, არც სარეპერტუარო პოლიტიკა განისაზღვრება ერთი რომელიმე სეზონით. აქ ერთი მთლიანი მხატვრული პროცესია, და ჩვენ უნდა შეგვეძლოს გამოვარკვიოთ, თუ რა არის მომავლისათვის ძალაში, და რა უკუსაგდები, რა იყო გასულ სეზონისათვის წარუმატებელი ანდა რა გვქონდა ისეთი, რაც მაყურებელს ახარებდა.

ყოველივე ამაზე დიდხანს იფიქრა რუსთაველის სახელობის თეატრმა, გულმოდგინედ გაეცნო საბჭოთა კავშირის მოწინავე თეატრების რეპერტუარს და ისე განსაზღვრა თავისი ახალი თეატრალური წლის რეპერტუარი.

ამჟამად თეატრმა უკვე დაიწყო სარეპეტიციო მუშაობა ორ ახალ პიესაზე. მხედველობაში გვაქვს ვ. როზოვის „ვახშმის წინ“ (გადმოქართულებული ჯ. ჩაბი“ (1962 წ.), ო. მამფორიას „მეტეხის ჩრდილში“ (1963 წ.).

ქართული დრამატურგიისადმი აქტიური მხარდაჭერა და ჩვენი მწერლობის სულ უფრო ფართოდ ჩაბმა თეატრის პრაქტიკულ საქმიანობაში ჩვენი თეატრისა და დრამატურგიის წინსვლის საიმედო პერსპექტივაა.

ამიტომ თეატრი ასე გულისხმისერებით მოეკიდა ო. მამფორიას პიესას. დადგმაზე მოწვეულია გ. ლორთქიფანიძე (რეჟისორის ასისტენტი ე. ეგაძე), ეს იქნება მისი პირველი სპექტაკლი რუსთაველის თეატრში. ასე რომ ამ მხრივაც საინტერესო უნდა იყოს ახალი სეზონი. სპექტაკლში მონაწილეობენ აკ. ხორავა, ს. ზაქარიაძე, ემ. აფხაიძე და თეატრის სხვა საუკეთესო ამტიორული ძალები. ამგვარი ყურადღებითა და პასუხისმგებლობით მოჰკიდა ხელი თეატრმა ახალგაზრდა დრამატურგის პიესას.

სპექტაკლის მხატვარია ო. ლიფანაშვილი, კომპოზიტორი რ. ლაღიძე.

დიდი ხანია, რუსთაველის თეატრი მსოფლიოში სახელგანთქმული დრამატურგის ბ. ბრეხტის შემოქმედებაზე რომ ფიქრობს. პრაქტიკული ნაბიჯი კი მხოლოდ ამ სეზონში გადაიდგა. დ. ალექსიძე უკვე შეუდგა მუშაობას ბ. ბრეხტის „კომედიაზე „სამგროშიანი ოპერა“ (თარგმანი ჯორჯანელებისა, მხატვარი ფ. ლაპიაშვილი). ეს იქნება საქართველოში ბრეხტის პირველი დადგმა.

თეატრი მუშაობს კ. გამსახურდიას „მთვარის მოტაცებისა“ და ლ. ქიაჩელი „გვადი ბოგვის“ ინსცენირებაზე, ქართული საბჭოთა კლასიკური მწერლობის ეს ორი უმნიშვნელოვანესი ნაწარმოები არ შეიძლება არ აღელვებდეს თეატრს. მაგრამ რამდენადაც დიდი და საპატიოა მათი შეტანა რეპერტუარში, იმდენად პასუხსაგები ამოცანა დგას თეატრის წინაშე. მოენახება თუ არა ადეკვატური სცენური ფორმა, ამას მომავალი გვიჩვენებს.

დ. გაჩეჩილაძე ჩვენი თეატრისათვის წერს პიესას საიათნოვაზე. ეს იქნება ხალხთა მეგობრობისადმი მიძღვნილი ნაწარმოები.

რუსთაველის თეატრი დიდი ხანია ფიქრობს კაპიტალურად აღადგინოს ს. აბმეტელის სპექტაკლი „ყაჩაღები“. ეს საკითხიც ამ სეზონში უნდა გადაწყდეს.

არის სხვა საიბლენიც. თეატრი მუშაობს ჩვენს მწერლებთან, რომ თანამედროვეობის ამსახველი პიესები შეიქმნას.

თანამედროვეობა სცენაზე — ეს არის მთავარი.

ზოგ ვინმეს ჰგონია, რომ თანამედროვეობის მოთხოვნა კამპანიაა, წმიდა სარეპერტუარო პოლიტიკაა. არა. ხალხს სურს იხილოს თავისი თანამედროვეობა სცენაზე. ამის გამო ჯერ კიდევ დიდი ილია წერდა: „სამართლიანად ნატრულობენ ბევრნი ჩვენთაგანნი, რომ ჩვენმა ქართულმა სცენამ რაც შეიძლება ხშირად გაგვიტაროს თვალწინ ჩვენის ცხოვრების ხატი და ამ ხატში გაგვიხოროციელოს აზრი და საგანი ასე თუ ისე მიმავალ წუთისოფლისა“.

ოთხმოცი წლის წინათ თქმული ეს საყვედური და სურვილი საგანებით ეხება დღევანდელ ქართულ თეატრსაც.

ჩვენ არ ვიზიარებთ იმ ტენდენციას, რომ რეპერტუარში დაცული იყოს რიცხობრივი თანაფარდობა თანამედროვეობისადმი მიძღვნილი პიესებისა. საქმე რაოდენობა როდია.

ხელოვნებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს „უკეთესს“ და არა „მეტს“. მაგრამ უკეთესისათვის ბრძოლის პროცესი თავისთავად გულისხმობს პიესათა გარკვეულ სიმრავლესაც. მთავარი ის არის, რომ შეგვეძლოს გონივრულად შევარჩიოთ ის, რაც უფრო პერსპექტიულია, რაც უფრო მეტ სიახლესა და სიმართლეს შეიცავს.

ვ. კიკნაძე,
რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის ლიტერატურული ნაწილის გამგე.

„კომუნისტის“ ინტერვიუ

კონსტანტინე სიმონოვი:

ჯარისკაცად არ იბადებიან!

სურათზე: კონსტანტინე სიმონოვი გულრიფშში.
ფოტო მ. ტარასოვისა.

ვიცოდით, რომ კონსტანტინე სიმონოვი ახლა საქართველოშია და აქ ახალ რომანს წერს...

ვინც სიმონოვის პოეზიასა და პროზას იცნობს, მან იცის როგორი გულის „კაცია იგი, იცის როგორი ომის ქარცეცხლში იარა და როგორი უცვლელი დარჩა — სათუთი, კაცმოყვარე...

ახლაც ამ თემაზე მუშაობს მწერალი, ახლაც ჯარისკაცის ძნელ ცხოვრებაზე წერს.

აქ, ამ სიმყუდროეში ხელმეორედ განიცდის ერთხელ განცდილს და ცოცხლდებიან გარდასული დღეები, ამბები, ადამიანები...

კონსტანტინე სიმონოვი სულ ჭაღარაა, მაგრამ ახალგაზრდული იერი დაჰკრავს, მზემოკიდებული მტკიცე ნებისყოფის კაცის გამომეტყველება აქვს.

შეეკუნდა თავაზიანად, თავმდაბლურად. ისე უბრალოდ მიგვიღო, თითქოს გვითხრა — მეც ვყოფილვარ თქვენს დღეშიო...

გაზეთი „კომუნისტი“ რომ ვუსვენეთ — გაეხარდა.

— გადაეცით ქართველ მკითხველებს, რომ მე ისე როგორც ყველა საბჭოთა მწერალს, განსაკუთრებით მიყვარს თქვენი მიწა-წყალი. აქ დავწერე ჩემი „თანამოიარაღენი“, აქ ვწერ ახალ რომანსაც, რომელიც „თანამოიარაღენისა“ და „ცოცხლეთისა და მკვდრების“ გაგრძელება იქნება...

— როდის ეწვევით თბილისს?

— მართალი გითხრათ არ ვიცი, დღეს მოსკოვში წავალ. მერე ისევ აქ ვაპირებ დაბრუნებას, რომანი უნდა დავამთავრო. ამასწინათ ვიყავი თბილისში, მერე დაბა მაიაკოვსკის ვეწვიე, დიდებული მუზეუმია, დიდებული ადგილი...

— როგორ მუშაობთ?

— არ ვიცი... ვმუშაობ, ბევრს ვმუშაობ...

საოცარია, ყველა პროფესიის ადამიანი ისვენებს, მწერალი კი არა. იგი ყოველთვის მუშაობს, წერს — მუშაობს, არ წერს — მაშინაც მუშაობს.

რა ჰქვია თქვენს ახალ წიგნს?

ერთხანს არ გვიპასუხა, ზღვას გახედა, ზღვა იყო წყნარი, შორს სადღაც ერთდებოდა ცისა და ზღვის სილურჯე, და ამ სიმშვიდეში, ამ ერთ წამში, თითქოს მის წინ ჩაიქროლეს „ბაციებულმა ომებმა“, ფრონტებმა, ეშაკუაციამ, ნგრევამ, „ცოცხლებმა და მკვდრებმა!“.. გამარჯვებამ და ბოლოს ჩუმად თქვა:

— ჯარისკაცად არ იბადებიან! ამით მან მარტო წიგნის სათაური არ თქვა... მწერალი გულთბილად დაგვემშვიდობა.

ავტოგრაფი ვთხოვეთ, კალამი აიღო, ერთხანს იფიქრა, მერე გულთბილი სტრიქონები დაწერა:

„როგორც ერთ-ერთი იმ მრავალ საბჭოთა მწერალთაგან, რომლებიც იცნობენ და სიყვარულით ეკიდებიან საქართველოს მიწა-წყალს, კითხულობენ და დიდად აფასებენ ქართულ ლიტერატურას, მოხარული ვარ, რომ შესაძლებლობა მომეცა მეგობრული სალამის სიტყვებით მივმართო ჩვენს ქართველ ამხანაგებს, გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებს.

კონსტანტინე სიმონოვი
1963. 31. VIII გულრიფში“.

ნაწერი გადმოგვცა, ხელი ჩამოგვართვა და გაბრუნდა. გაბრუნდა და.. თითქოს მაშინათვე დაუბრუნდა თავის სამყაროს, თავის თანამოიარაღეებს...

ი. გობეჩია,
რ. დვალიშვილი.
გულრიფში, აგვისტო.

ჭიაურის ტყეებში

სიღნაღი. (საკ. კორ.). ჭიაურის ტყეები მდინარე ალაზნის გასწვრივ ათასობით ჰექტარზეა გადაჭიმული. მელა, ტურა, მგელი, აფთარი, და სხვა მტაცებელიც აქ ბევრი ბინადრობდა. სასარგებლო ნადირი კი ბრაკონიერებმა თითქმის მთლიანად მოსპეს. სიღნაღის მონადირეთა საზოგადოებამ სასარგებლო ფაუნის აღდგენის მიზნით ორი წლის წინათ ჭიაურში საჩვენებელი სამონადირეო მეურნეობა ჩამოაყალიბა. მას 7.200 ჰექტარი ფართობი უჭირავს.

მეურნეობის მცველი ეგერები ბ. ჭუმბურიძე, ფ. სიფრაშვილი, დ. ნაცვლიშვილი და სხვები დაუღალავად შრომობენ. ბრაკონიერებს ახლოს არ აჭაჭანებენ. მათი ბეჯითობის შედეგად ჭიაურში ირემი, შველი, გარეული ღორი, ხოხობი გამრავლდა.

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

ხელოვნების ქრონიკა

„რუსული სასწაულის“ წარმატება

ჭიათურა. (საკ. კორ.). კინოთეატრ „მაღაროელში“ წარმატებით უჩვენებენ ცნობილ დოკუმენტალურ კინოფილმს „რუსულ სასწაულს“.

პირველივე დღეებში იგი ათასობით მშრომელმა ნახა.

კონცერტებით მთათუშეთში

ამ დღეებში თელავის რაიონის კულტურის სახლთან არსებული ავიტმხატვრული ბრიგადა მალალმთიან ომალოს ეწვია.

პირველი გამოსვლა ომალოს სკოლა-ინტერნატის შენობაში მოაწყეს. მაყურებელთა მოწონება დიმსახურა „შვიდკაცამ“ (ხელმძღვანელი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. პაპალაშვილი).

ბრიგადამ მეორე დილას კიდევ ერთი კონცერტი გამართა, შემდეგ კი გაემგზავრა სოფელ შენაქოში, რომელიც 7 კილომეტრით არის დაშორებული ომალოს.

გ. ფინკო.

საბასტროლოდ ზუგდიდში

დაბა წალენჯიხის კულტურის სახლთან არსებული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა, რომელსაც ქართული სიმღერის ოსტატი, წალენჯიხის საშუალო სკოლის მასწავლებელი მიტროფანე შელია ხელმძღვანელობს, ამას წინათ კონცერტი გამართა ზუგდიდის შ. დადიანის სახელობის დრამატულ თეატრში.

ბ. ალშიბაია.

მეგობრობა თეთრ კარვებში

ბორჯომში, 26 კომბინატის სახელობის პლატოზე, ზღვის დონიდან 1050 მეტრის სიმაღლეზე, ცადაზიდული ფუძეხარის ჩრდილში ჩამწყრივებულან თეთრი კარვები.

აქ 1957 წლიდან მუშაობს ბორჯომის ტურისტთა ბაზა. ამ ბაზიდან იწყება № 80 და № 305 მარშრუტები. მარტო მეოთხმოცე მარშრუტით აქ სეზონში 110 ჯგუფი გაივლის, თვითეულ ჯგუფში კი 40 ტურისტია.

მარტო მიმდინარე წელს ბორჯომის ტურისტთა ბაზაში ხუთხუთვარ ათასზე მეტი ტურისტი გაივლის. აქ ყოველდღიურად 60-მდე კაცი მოდის ტურისტული საგზურით და ამდენივე გადის სხვადასხვა მიმართულებით. მეოთხმოცე მარშრუტით თითო ჯგუფი გადის სამდღიან ლაშქრობაში. ისინი დაბადეველის ტბაზე ორი ღამისთვის შემდეგ ფეხით მიდიან ბაკურიანამდე. ბაკურიანისა და ვარძიის ტურბაზებში ატარებენ სამ-სამ დღეს და ზეკარის ულელტეხილზე. გავლათ ჩადიან ქუთაისში, შემდეგ კი ბათუმში.

წელს ბევრი ტურისტი ჩამოვიდა შორეული ჩრდილოეთიდან, ბალტიისპირეთიდან და შუა აზიიდან. აქ ყოველთვის არიან მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ხარკოვის, ნოვოსიბირსკის, ტომსკის, გორკის, ვოლგოგრადის, ვორონეჟისა და სხვა ქალაქების წარმომადგენლები.

ბაზაზე ტურისტების განკარგულებაშია კეთილმოწყობილი კაბინეტები, საზაფხულო ესტრადა, საცეკვაო და ფრენბურთის მოედნები, მაგიდის ჩოგბურთი და სხვ.

სამდღიან ლაშქრობაში მიმავალ ჯგუფებს ტრადიციად აქვთ შემოღებული გამოსამშვიდობებელი თვითშემოქმედების საღამოების გამართვა.

ასეთი საღამოები ამეგობრებს და აახლოებს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ ტურისტებს. ისინი აქედან წასვლისას უკვე კეთილ მეგობრებად ემშვიდობებიან ერთმანეთს.

ტურბაზის შთაბეჭდილებათა და წინადადებათა წიგნში ბევრ საინტერესო ჩანაწერს ნახავთ სხვადასხვა ენაზე.

ყველა ამ ჩანაწერის შინაარსი ერთია — ისინი აღფრთოვანებული არიან ბორჯომის ხეობის წარმტაცი სილამაზით, მადლობას უძღვნიან თანამშრომელთა მთელ კოლექტივს გულთბილი მიღებისათვის, საუკეთესო მომსახურებისა და აქ გატარებული შინაარსიანი დღეებისათვის.

ნ. მალალურაძე.

• • •



სურათზე: დილით ტურისტთა ბაზაში.
ფოტო ავტორისა.

პირველი ატლასი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში დამთავრდა საქართველოს კომპლექსური გეოგრაფიული ატლასის შედგენაზე მუშაობა და მასალები გამოსაცემად გადაეცა წარმოებას.

კომპლექსური გეოგრაფიული ატლასი წარმოადგენს საცნობარო მეცნიერულ კარტოგრაფიულ ნაშრომს, სადაც ასახულია ამა თუ იმ ქვეყნის მიწევება მრეწველობის სოფლის მეურნეობის, კულტურის დარგში, მისი ბუნებრივი პირობები, ისტორიული ვითარება. ამრიგად, ეს კომპლექსური გეოგრაფიული ატლასი მოცემული ქვეყნის ერთგვარი კარტოგრაფიული ენციკლოპედიაა. ასეთი ატლასები უკვე შექმნილია ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რესპუბლიკებში. საქართველოს კომპლექსური გეოგრაფიული ატლასი კი პირველად მუშავდება.

ატლასის შედგენაში მონაწილეობას იღებდა გეოგრაფიის ინსტიტუტის მთელი კოლექტივი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსების ა. ჯავახიშვილისა და თ. დავითაიას ხელმძღვანელობით. ამავე დროს ატლასის დამუშავებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებმა ნ. ბერძენიშვილმა, პ. გამყრელიძემ, ვ. გულისაშვილმა ნ. კეცხოველმა, გ. მელიქიშვილმა მ. საბაშვილმა გ. ჩუბინაშვილმა, აგრეთვე მრავალმა გამოჩენილმა პროფესორმა და მეცნიერმა მუშაკმა. ატლასის სარედაქციო კოლეგიის ხელმძღვანელია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გ. ძოწენიძე.

მოკლედ

□ **ბათუმი.** (საკ. კორ.). ამ დღეებში ბათუმში საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი ავტომატური ტელეფონის სადგური, რომელიც გაუვალსწინებულია 6 ათას აბონენტზე. ამჟამად სწორფი ტემპით მიმდინარეობს ტელეფონ-ავტომატების დადგმა საწარმო-დაწესებულებებში და ბინებზე.

□ **დაბა ორჯონიკიძე.** (საკ. კორ.). აქ დამთავრდა აფთიაქის მშენებლობა. იგი უზრუნველყოფილია ახალი ინვენტარ-მოწყობილობით.

□ **სოფელ ქაქუთის** (ჩაქვის რაიონი) ცენტრი კიდევ ერთმა ლამაზმა შენობამ დაამშვენა. აქ აიგო და საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი ორსართულიანი სასკოლო შენობა, რომელსაც აქვს ფართო დერეფნები, ნათელი საკლასო ოთახები, სასწავლო კაბინეტები, ლაბორატორიები, სასპორტო დარბაზი.

ქაქუთელი მოსწავლეები იმანაც გაახარა, რომ ახალი სკოლა რვაწლიანნაგანი სასუალოდ გადაკეთდა.

ახალი სასკოლო შენობა ქაქუთის კოლმეურნეობამ ააგო.

საჭადრაკო ოლიმპიადის სტარტზე

ძველი წარმოსადგენია ისეთი დატვირთული საჭადრაკო კალენდარი როგორიც წელს ნონა გაფრინდაშვილს აქვს — საერთაშორისო ტურნირი ბელგრადში, საქართველოს ჩემპიონატი ბაკურიანში, ტურნირი — მოსკოვი-თბილისი, მატჩი საბჭოთა კავშირი-იუგოსლავია, სსრ კავშირის ხალხთა მესამე სპარტაკიადა, ახლა კი ქალთა საერთაშორისო ოლიმპიადა იუგოსლავიაში. მაგრამ არც ამით ამოიწურება ნონას გამოსვლების პროგრამა — ნოემბრის შუა რიცხვებიდან მსოფლიოს ჩემპიონმა მონაწილეობა უნდა მიიღოს საკავშირო ჩემპიონატში ქალთა შორის. ასე, რომ სანამ ჩვენი ჩემპიონი ტურნირიდან ტურნირში მოგზაურობს, გულშემატკივრები ძლივს ასწრებენ სულის მოთქმას და დასვენებას.

სპორტის ყველა სახეობას თავისი „გეოგრაფია“ აქვს. ამასთანავე მათი „რუკები“ ერთმანეთისაგან დიდად განსხვავდება. მაგალითად, ფეხბურთის „რუკაზე“ უდიდესი ადგილი ბრაზილიას უჭირავს და სრულიადაც არ არის აღნიშნული ჩინეთი, კრივის „რუკაზე“, სადაც ვერ იპოვნით ინდოეთს, თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ნიგერიას (მსოფლიოს ჩემპიონ დიკ ტეგერის სამშობლო), ჩოგბურთის „გეოგრაფიაზე“ პირველ ადგილს უთმობს ავსტრალიას მაგრამ ჭადრაკის „რუკაზე“ ვერ ნახავთ ვერც ბრაზილიას, ვერც ავსტრალიასა და ვერც ნიგერიას. სამაგიეროდ არ შეიძლება თვალში არ მოგხვდეთ იუგოსლავია, ქვეყანა, რომელიც ჭადრაკის სამყაროში დიდი პრესტიჟით სარგებლობს.

ჩვენი მკითხველი უკვე შეამჩნევდა, რომ საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირების დიდი ნაწილი იუგოსლავიაში იმართება. მაგალითად, ნონა გაფრინდაშვილმა, რომელიც თავისი „თანამდებობის“ გამო ბევრს უნდა მოგზაურობდეს, ვერ მოასწრო ბევრი ქვეყნის ნახვა, იუგოსლავიაში კი მესამედ მიდის. რითი უნდა ავხსნას ეს გარემოება? ჯერ ერთი, იმით, რომ ჭადრაკი იუგოსლავიაში უადრესად პოპულარულია და აქაურ ერთგულ ფედერაციას ნამდვილი ენთუზიასტები უდგანან სათავეში. მეორე მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ნატოს ქვეყნებს ფიდე (ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაცია) ხშირად ჩამოართმევს ხოლმე უკვე დაგეგმილ შეჯიბრებთა მოწყობის უფლებას, რადგან მათ არა სურთ ასპარეზობაზე დაუშვან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლები. ყველა ასეთი შეჯიბრება შემდეგში იუგოსლავიის „ულუფა“ ხდება. მსგავსი ბედი ეწია ქალთა საერთაშორისო ოლიმპიადას, რომელიც შარშან ჰოლანდიაში უნდა გამართულიყო.

ქალთა საერთაშორისო ოლიმპიადა მეტად თავისებური შეჯიბრებაა. აქ თვითეულ გუნდში მხოლოდ ორი წევრია, რაც უკიდურესად ამწვავებს ბრძოლას.

პირველი ადგილის ძირითად პრეტენდენტებად საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის გუნდები უნდა ჩაითვალონ, თუმცა ამ ასპარეზობის უკვე აღნიშნული სპეციფიკის გამო შესაძლებელია ოქროს მედლის სხვა გუნდებმა „წაეპოტინონ“. ამიტომ მეტად იზრდება მოჭადრაკეთა პასუხისმგებლობა თვითეული მატჩისათვის, თვითეული ქულისთვისაც კი, და, ცხადია, ლაპარაკიც არ შეიძლება ე. წ. „გროსმაისტერულ“ ყაიმებზე.

საბჭოთა კავშირის გუნდში ითამაშებენ მსოფლიოს ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი და საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ტატიანა ზატულოვსკაია (ბაქო). სათადარიგო მონაწილეა მსოფლიოს ჩემპიონობის ყოფილი პრეტენდენტი და საბჭოთა კავშირის არაერთგზის ჩემპიონი კირა ზვორიკინა (მინსკი). როგორც ცნობილია, ნონა ახლა საუცხოო ფორმაშია, ხალხთა სპარტაკიადაზე მას ჩინეთელ ბუბენ ჰუ-ს ... ...